

სსიპ


საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს
შენობის სამხრეთ ფლიგელის სადემონტაჟო სამუშაოთა
ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2016 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო





ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საქართველოს იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5002398216
06/05/2016

201



5002398216

სსსს) საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორს ზნ გრიგოლ გაგომიძეს

(მერაბ ალექსიძის I)

ზატონო გრიგოლ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თბილისი N147348
მომართვის (ბიუროს 2016 წლის 17 თებერვლის რეგისტრაციის N1001189716) საფუძველზე, გიგზავნით
საინფორმაციო ექსპერტიზის N002587016 დასკვნას
დანართი:
ექსპერტის დასკვნა 12 ფურცელად.

პატივისცემით,

გიორგი თველური
ბიუროს უფროსი

მისამართი: 0162, 233733206, 0162, 0162
84 Cherkashvili ave., Tbilisi 0162, Georgia
233733206, 0162, 0162
0162, 0162, 0162, 0162
0162, 0162, 0162, 0162



002587016

ექსპერტის დასკვნა № 002587016

გაფრთხილება

კრიკა ზაფრიძის სამშენებლო მეცნიერის, სეისმოინჟინერის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დედამატარებელი) უფროსი მეორე განაყოფი ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით ამასთან, ეროვნული კვლევის, კვლევის დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ეარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

თანამდებობა: დირექტორი--

მისამართი: მერაბ აღუესიძის 1

სასელო და გეგმა: გრიგოლ გაგოშიძე

საფუძველი: მომართვა

შეპროექტებული ექსპერტები:

აღუესიძე კაიფაჩიანი / კრიკა ზაფრიძის სამშენებლო მეცნიერის, სეისმოინჟინერის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დედამატარებელი) სამშენებლო მეცნიერის და ნაგებობათა სეისმოინჟინერის სამსახურის ექსპერტი, სპეციალიზირებულია მუშაობის ქულის სტატიით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გზის, დაადგენით ქუთაისში პროექტული სასწავლებელი "ბერია"-ს შემოსის სამხრეთ ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობა და აღდგენის რეკონსტრუქცია.

შემოსის თარიღი: 17.02.2016წ

გასვლის თარიღი: 06.05.2016წ

დასკვნა

ქუთაისის პროექტული სასწავლებელი "ბერია"-ს სამხრეთ ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობა არადასაკმაყოფილებელია. შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით (ფოტო 1), ორსართულიანი ფლიგელის კონსტრუქციული სტრუქტურა წარმოდგენილია საპროექტო კონსტრუქციის სახით. პერიმეტრზე მოწყობილია მხიდი კედლები, ხოლო მოჭიმული რკინაბეტონის ჩარჩოვანი კონსტრუქცია, საპროექტო კედლების ქვეშ ღრმადი ტიპისაა, ხოლო მხიდი კედლებს გააჩნიათ წერტილოვანი საძირკვეები. პირველი სართულის გადახურვა შეესრულებულია რკინაბეტონის ასკრები ღრუბრითი ფილებით, ხოლო მეორე სართულზე მოწყობილია

აღუესიძე კაიფაჩიანი

გამოკლევა

შენა მეორე ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქუთაისში, პროექტული სასწავლებელი "ბერია"-ს სამხრეთ ფლიგელი, ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით (ფოტო 1), ორსართულიანი ფლიგელის კონსტრუქციული სტრუქტურა წარმოდგენილია საპროექტო კონსტრუქციის სახით. პერიმეტრზე მოწყობილია მხიდი კედლები, ხოლო მოჭიმული რკინაბეტონის ჩარჩოვანი კონსტრუქცია, საპროექტო კედლების ქვეშ ღრმადი ტიპისაა, ხოლო მხიდი კედლებს გააჩნიათ წერტილოვანი საძირკვეები. პირველი სართულის გადახურვა შეესრულებულია რკინაბეტონის ასკრები ღრუბრითი ფილებით, ხოლო მეორე სართულზე მოწყობილია



002587016

ტესტის დასკვნა № 002587016

ტკიპების წიბოვანი ფილების გადახედა, ვიზუალური და ფიზიკური დაზიანებების დადგენილება შესაძლებელია და დაზიანებები გარე შიდა კედლების წყობა ძლიერ დაზიანებულია და ექსპლუატაციის უსაფრთხოების საფრთხეა (ფოტო 2-3); ფუძე გრუნტი იმყოფება განუვლიანებელ მდგომარეობაში (ფოტო 4-6); მეორე სართულის გადახედა წიბოვანი ფილები, სახურავის ფენილის დაზიანებების გამო, ატმოსფერული ნალექების შეშუპების შედეგად გამოტუტულია და დაზიანებულია (ფოტო 7-10). ზემოთაღნიშნული ხარვეზებიდან გამომდინარე საკვლევი ფილების ამგვარი ტექნიკური მდგომარეობა არადაშვებელია და საჭიროა გასაგრძელებელი სამუშაოების ჩატარება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოქმედი საშენებლო ნორმების მოთხოვნათა თანახმად (პი 01.01-09 „ხეობის მშენებლობა“ მუხლი 10.3.6.) არასრული კარკასის მოწყობა დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, შენობის სამომავლო უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა რიგი გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარება: ფუძე-გრუნტიდან წყლის მოცილების სამუშაოები, შიდა კედლების ჩასმა ორბრტყიან ტკიპების ჯგუფში; მეორე სართულის გადახედავის დემონტაჟი და ახლის მოწყობა; საძირკვლის გასაღრმავება და ა.შ. ამგვარად, რეაბილიტაციისათვის ჩასატარებელი სამუშაოების დიდი მოცულობების გამო, ფილების აღდგენა არარენტაბელურობიდან გამომდინარე არ მოეწონა მოხმარებელს.

ამრიგად, ქვეთაისის პროექტული სასაედილო კომპანია სამხრეთ ფილების ტექნიკური მდგომარეობა არადაშვებელია. რეაბილიტაციისათვის ჩასატარებელი სამუშაოების დიდი მოცულობების გამო, ფილების აღდგენა არარენტაბელურობიდან გამომდინარე არ მოეწონა მოხმარებელს.

აღმასრულებელი კაინაგინი

გამოცემული მასალები

CP-13-102-2003

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გარდაცემული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სერტიფიცირების თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ტესტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: საზოგადოებრივი

ტესტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: შიდა კედლები



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 1 16 00980954

23/08/2016

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს „იბერია“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 22/08/2016 წლის N977120 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯმა „იბერია“, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 16/08/2016წ. N965278 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა სალინაძე



საქართველოს საკუთრების რეესტრი N 03.04.32.234

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014345562 - 02/07/2014 11:11:58

მომზადების თარიღი
03/07/2014 15:31:44

საკუთრების განყოფილება

ბონა ქუთაისი	სექტორი მუნიციპალიტეტი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სასახლურ- დაზღუდვითი ფართობი: 8190.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 03.04.07.364; შენიშვნა: ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა N1 საერთო ფართობი 2883 კვ.მ. შენობა N2 გაშ. ფართობი 367.21 კვ.მ. შენობა N3 აუზი - 80.00 კვ.მ. შენობა N4 დამხმარე ნაგებობა - 16.46 კვ.მ. შენობა N5 საგრიმსფორმაციო - 24.96 კვ.მ. შენობა N6 - სადღერდელი საბუხარი - 240.1 კვ.მ.
03	04	32	234	

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ქუჩა მ. ანდროპოვიძე, N 61

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882008021637 - თარიღი 30/01/2008 17:25:49

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები:

- გადაწყვეტილება N2/665-2007, დამოწმების თარიღი: 04/09/2007, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლო
- მომართვა N62, დამოწმების თარიღი: 16/01/2008, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პროექტების რეგისტრაციის-ინფორმაციის სამსახური სამსახრით
- გადაწყვეტილება სხდომის თქმა N41, დამოწმების თარიღი: 25/10/1962, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების
საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
- გადაწყვეტილება თქმა N33 §12, დამოწმების თარიღი: 21/08/1963, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
- გადაწყვეტილება N169 თქმა N10 §31, დამოწმების თარიღი: 05/04/1967, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების
საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
- საკლასტრო ანონსითი სახანი, დამოწმების თარიღი: 08/01/2008
- საკლასტრო ანონსითი სახანი, დამოწმების თარიღი: 08/01/2008
- პრისება N203, დამოწმების თარიღი: 21/02/2012, თქმამართალი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე

შესაკუთრები:
სახელმწიფო

შესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გრაფიკა:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <http://public.reestr.gov.ge>

გვერდი: 1(2)

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011415612 თარიღი 26/08/2011 16:00:27	მომარტველ: სსიპ სამოვადილოებრივი კოლეჯი "იმერია" 212682051; მესაჯუტრე: სახელმწიფო; საგნო: მწიკ 8190.0 კვ.მ. და მესობა N1 საგნოი ფართი: 2883 კვ.მ. მესობა N2 ფაი: ფართი: 367.21 კვ.მ. მესობა N3 აგნი - 80.00 კვ.მ. მესობა N4 დამსმარე საგნობა - 16.46 კვ.მ.; მესობა N5 საგარსნიფორმაციოი - 24.96 კვ.მ., მესობა N6 - საღურღლო სააქმერი -240.1 კვ.მ.
უღღესის რეგისტრაციი: თარიღი 31/08/2011	მომარტაიე,რეგესტრის ნომერი Nგ-2/192, დამსმუნების თარიღი26/08/2011, საქარტოღღესის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრის რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სახელმწიფო ეონების ბარეკებისა და პროეკტების სამსარეო სამმართველო ბრძნობა N203, დამსმუნების თარიღი:21/02/2012, თეიომმართველი ქღაღეს-ქეიოისის საქრებუღღის თაქმუღღოსმარე.

ვალდებულება

ქობულაძის აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის.

მთავალია რეკლამა:

რეგისტრირებული არ არის

² Գրքի լրիմ ծավալի մասին 2 հատվածից բաղկացած հիմնական տեղեկությունները հայտնաբերվել են 1930-1935 թվականներին 1000 ծավալի տիրույթում ընթերցված ինքնուրույն հեղինակների կողմից: Բնագրերը պահպանվել են Երևանի համալսարանի Գրականության ֆակուլտետի գրադարանում: Գրքի լրիմ ծավալի մասին տեղեկությունները հայտնաբերվել են 1930-1935 թվականներին 1000 ծավալի տիրույթում ընթերցված ինքնուրույն հեղինակների կողմից: Բնագրերը պահպանվել են Երևանի համալսարանի Գրականության ֆակուլտետի գրադարանում: Գրքի լրիմ ծավալի մասին տեղեկությունները հայտնաբերվել են 1930-1935 թվականներին 1000 ծավալի տիրույթում ընթերցված ինքնուրույն հեղինակների կողմից: Բնագրերը պահպանվել են Երևանի համալսարանի Գրականության ֆակուլտետի գրադարանում:

- [illegible]



KA021735286081816

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. ქუთაისი, ვ. ჯუღაშვილის ქ. 3

N13/48204

19 / სექტემბერი / 2016 წ.

სსიპ საზოგადოებრივ კოლექტივ „იბერია“-ს
(მის. ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61)

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში თქვენს მიერ 12.09.2016წ. NMES 5 16 01052984 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასმული საკითხის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრი არ არის წინააღმდეგი სსიპ საზოგადოებრივი კოლექტივ „იბერია“-ს სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N03.04.32.234) განთავსებული, ამოტივირებული ზედაპირის ჩამოწრა და დემონტაჟი განახორციელოთ საქართველოს მთავრობის 22.03.2010 წლის N82 და 13.08.2010 წლის N239 დადგენილებების შესაბამისად.

იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსი

ირაკლი რაზმაძე



KA021758478013016

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ. ჭავჭავაძის ქ. 10ა

10a, T. Chavchavadze Str., 0108 Tbilisi, Georgia

N5/48149

19 / სექტემბერი / 2016 წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრს

ასლი: სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს „იბერია“-ს

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-ს 12.09.2016წ. NMES 5-16 01052984 წერილი, რომელიც ეხება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-ს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობის ჩამოწერისა და დემონტაჟის განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის საკითხს.

გიგზავნით ზემოაღნიშნულ კორესპონდენციას, გთხოვთ ადგილზე შეისწავლოთ წერილში დასმული საკითხი და იმოქმედოთ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

გვ. კატორიძე სისაური

ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს
შენობის სამხრეთ ფლიგელის სადემონტაჟო სამუშაოთა
ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი
ორგანიზაციის პროექტის ავტორი

მ.ჭონიაშვილი
ტ. სტურუა

• თბილისი 2016 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII.უსაფრთხოების ტექნიკა

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „მო-2“ - „სადემონტაჟო სქემა“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს შენობის სამხრეთ ფლიგელის, საქვების, წყალსაწნეო კოშკის და სასწავლო სახელოსნოს ნაწილის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და

წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების
საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის
საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის
მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ
აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა
წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება
დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური
ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

4

სადემონტაჟო სამხრეთ ფლიგელის „ნულისქვეშა“ ციკლის სადემონტაჟო
სამუშაოთა დაწყებამდე დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ
აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სადემონტაჟო
ფლიგელისა და შენობის არასადემონტაჟო ნაწილის
ურთიერთმომიჯნავედ განლაგებული სამირკვლების განლაგების
დონეებისა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა იმ მიზნით,
რომ გამოირიცხოს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას და ასევე
შემდეგაც არასადემონტაჟო დარჩენილი ნაწილის მდგრადობის
შესუსტება და მზიდი კონსტრუქციების დაზიანება.

ურთიერთმომიჯნავე ზოლში სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს
ხელით, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით.

ამ პროექტის დამუშავებით გაუქმებულია 2015 წელში დამუშავებული „ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს №1 შენობის ნაწილზე დახურვის წიბოვანი ფილების სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ობიექტს წარმოადგენს ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს შენობის სამხრეთ ფლიგელი, საქვაბე, წყალსაწნეო კომპი და სასწავლო სახელოსნოს ნაწილი.

სამხრეთ ფლიგელი არის ორსართულიანი, მართკუთხედის ფორმის, ზომებით გეგმაში 12×41მ მისი კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია არასრული კარკასის სახით:

5

შენობის პერიმეტრზე მოწყობილია მზიდი კედლები, ხოლო შიგნით რკ/ბეტონის ჩარჩოვანი კარკასი.

საძირკველი კედლების ქვეშ ლენტური ტიპისაა, ხოლო მზიდ სვეტებს გააჩნიათ წერტილოვანი საძირკვლები. პირველი სართულის გადახურვა შესრულებულია რკ/ბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით, ხოლო მეორე სართულზე მოწყობილია რკ/ბეტონის წიბოვანი ფილების . გადახურვა (12 მეტრის სიგრძით; წონა 6,4 ტნ).

სამხრეთ ფლიგელის გარე მზიდი კედლების წყობა ძლიერ დანესტიანებულია და უმნიშვნელო მექანიკური ზემოქმედებით ადვილად იშლება. ფუძე-გრუნტი იმყოფება გაწყლიანებულ მდგომარეობაში. მეორე სართულის წიბოვანი ფილები, სახურავის

ფენილის დაზიანებების გამო, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად გამოტუტულია და დანესტიანებულია.

ფლიგელის ამჟამინდელი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და საჭიროა გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება, რომელთა დიდი მოცულობების გამო, ფლიგელის აღდგენა არარენტაბელურობიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი. ამრიგად, ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერიას“-ს სამხრეთ ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ექვემდებარება სრულ დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს შენობის სამხრეთ ფლიგელის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან - 3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-2 კვირა.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ქ. ქუთაისის პროფესიული სასწავლებელი „იბერია“-ს შენობის სამხრეთ ფლიგელის, საქვების, წყალსაწნეო კოშკის და სასწავლო სახელოსნოს ნაწილის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად: პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1) სადემონტაჟო შენობის გარე კონტურიდან 5 მეტრის მანძილით ეწყობა დროებითი ღობე მავთულბადისგან (იმ ადგილებში, სადაც არ არის არსებული ღობე). ასევე ეწყობა მთლიანად სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით.

2) დროებითი ამწისქვეშა გზის მოწყობა ხრეშისგან.

- 3) დროებითი შენობა ნაგებობების მოწყობა
- 4) შიგა კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, დენი, გაზი) გამორთვა გარე ქსელებიდან
- 5) დროებითი სასაწყობო მოედნების მომზადება
- 6) სახიფათო ზონების აღმნიშვნელი, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების და სიგნალების მოწყობა
- 7) მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება

8

ძირითად პერიოდში ხორციელდება სამხრეთ ფლიგელის, საქვების, წყალსაწნეო კოშკის და სასწავლო სახელოსნოს ნაწილის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

1) სამხრეთ ფლიგელის დემონტაჟი:

I ეტაპი - სახურავის დემონტაჟი

II ეტაპი - დახურვის წიბოვანი ფილების დემონტაჟი

III ეტაპი - II სართულის ელემენტების დემონტაჟი

IV ეტაპი - გადახურვის ღრუტანიანი ფილების დემონტაჟი

V ეტაპი - I სართულის ელემენტების დემონტაჟი

VI ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“, „სახურავიდან -საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლისა და გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე დაშლა-დანაწევრების მეთოდის გამოყენება.

მზიდი კონსტრუქციების (დახურვა; გადახურვები; კედლები) დემონტაჟი თითოეულ სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დახურვის და გადახურვის ანაკრები ფილების დემონტაჟი

ბ) მზიდი კედლების დემონტაჟი

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

სამხრეთ ფლიგელის, საქვების, წყალსაწნეო კოშკის და სასწავლო სახელოსნოს ნაწილის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან შიგა ელექტროქსელი, კანალიზაციის და გაზის ქსელი.

ანაკრები რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“. სართულზე მზიდი კედლების დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ სართულზე დახურვის ყველა ანაკრები ფილა დემონტირებულია. სართულზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

კარებების, ფანჯრების, სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

მზიდი კედლების და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი კედლების დემონტაჟი

2) მონგრევის გზით- უვარგისი კედლების დემონტაჟი.

რკ/ბეტონის სვეტების და რიგელების დემონტაჟი ხორციელდება მათი ადგილზე დაშლა-დანაწევრების გზით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.

დახურვის და გადახურვის ფილების დემონტაჟი ხორციელდება მუხლუხა აშწით, ტვირთამწეობით 50 ტნ, მარკით დეკ-50.

ფილების დემონტაჟი სწარმოებს მეთოდით „დემონტაჟი ბორბლებზე“.

დახურვის და გადახურვის ფილების კონსტრუქციის დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით შემდეგნაირად:

1) ხდება გადახურვის კონსტრუქციის პირაპირების შეერთებებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით, სანგრევი ჩაქუჩით.

2) ბაგირჩამჭიდების ჩაბმა ჩასატანებელ დეტალებზე და ლითონის დეტალების ჩაჭრა (დამაკავშირებელი). ამ დროს ხდება ამწით კონსტრუქციის დაჭერა.

3) ამის შემდეგ განთავისუფლებული კონსტრუქცია მუხლუხა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება პირდაპირ ტრანსპორტზე და გადის მოედნიდან.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0.5 მ³. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ფლიგელის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას მუხლუხა ამწე მოძრაობს სასწავლებლის ეზოს გარეთ, „გრუნტის გზაზე“, სამხრეთ ფლიგელის გარე გრძივი კონტურის გასწვრივ, კონტურთან მიხედვით 12,0 მ-ზე. (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“ და „სადემონტაჟო სქემა“).

მუხლუხა ამწე მუშაობს ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში: ძირითადი ისრის სიგრძე-15მ, ბატიყელას სიგრძე-10მ. მუხლუხა ამწის მოძრაობის ხაზზე ეწყობა ხრეშის დროებითი საფარი სიგანით 5,0 მ; სისქით 15 სმ.

დახურვის და გადახურვის ფილების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას სასტიკად აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო ფილების ქვემოთ განლაგებულ სართულებზე (პირველი და მეორე სართულები).

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა მოხდეს ადამიანთა გაყვანა შენობის ორივე სართულიდან.

საქვების შენობის, წყალსაწნეო კოშკის ელემენტების და სასწავლო სახელონოს ნაწილის დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწით კს -3571, ტვირთამწეობით 10 ტნ.

ყველა სადემონტაჟო სამუშაო შესრულდეს სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნების თანახმად.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სამხრეთ ფლიგელის, საქვების, წყალსაწნეო კოშკის და სასწავლო სახელოსნოს ნაწილის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, კს-3571, ტვირთამწეობით 10ტნ -1ცალი
2. მუხლუხა ამწე, ტვირთამწეობით 50ტნ, მარკით-დეკ-50 -1 ცალი
3. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0.5მ³-1ცალი
4. მოძრავი კომპრესორი-2ცალი
5. ავტოთვითმცლელელები-2ცალი
6. სპეციალიზირებული ტრანსპორტი (ფილამზიდი) - 1ცალი
7. ბორტული მანქანა- 2ცალი
8. ავტოდამტვირთავი - 1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-2კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-4ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-4ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-4ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-100მ²

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა მუხლუხა ამწე -დეკ-50 მარკის მოძიება, შესაძლებელია მისი შეცვლა ანალოგიური ტექნიკური მახასიათებლების მქონე სხვა ამწით.

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას შენობის შიგა წყალი, კანალიზაცია, ელექტროქსელი და გაზის ქსელი უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

დახურვის ფილების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 5.0 მეტრს (კონტურსგარშემო სახიფათო ზონა).

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონის ფარგლებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსები დაზუსტდეს ადგილზე, უშუალოდ სამუშაოთა დაწყების წინ.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, რეზინის ფეხსაცმელები და ხელთათმანები, ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

დახურვის და გადახურვის ფილების სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას სასტიკად აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო ფილების ქვემოთ განლაგებულ სართულებზე (პირველი და მეორე სართულები).

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა მოხდეს ადამიანთა გაყვანა შენობის ორივე სართულიდან.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელელებით ნაგავსაყრელზე.


სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ქ. ქუთაისის პროექტირებული სასწავლებელი „იბერია“-ს შენობის სამხრეთ ფლოიგელის, საკვამის, წყალსაწნეო კომპის და სასწავლო სახელოსნოს ნაწილის დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა-3 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
			I თვეები	II	III
1	2	3	4	5	6
	I. მოსამზადებელი სამუშაოები				
1	დროებითი ღობის მოწყობა; დროებითი გზის მოწყობა (მუხლახა აძწის)	0.5	_____		
2	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა; სახიფათო ზონების აღნიშვნა	0.5	_____		
3	მტკვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებები; შიგა ქსელების გამოირთვა გარე ქსელებიდან. დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა	0.5	_____		
	II. სადემონტაჟო სამუშაოები (სამხრეთ ფლოიგელი)				
4	სახურავის დემონტაჟი	0.20	_____		
5	დახურვის წიბოვანი ფილების დემონტაჟი	0.40	_____		
6	II სართულის ელემენტების დემონტაჟი	0.40		_____	
7	გადახურვის დრუტანიათა ფილების დემონტაჟი	0.40		_____	
8	I სართულის ელემენტების დემონტაჟი	0.40			_____
9	საძირკვლების დემონტაჟი	0.30			_____
10	ვარგისი კონსტრუქციების და მასალების გატანა	2.0	_____		_____
11	სამშენებლო ნაგვის გატანა	2.0			_____

$R = 18.0 \text{ (U.S. } \$/\text{kg, } \text{kg}/\text{m}^3, \text{m}^3/\text{kg})$ 

1. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
2. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
3. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
4. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
5. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
6. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
7. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч
8. Үүнээс хэргээр нь Ерөнхий, 2007-р оны 12-р сарын 1-н өдөр өргөдөг ажиллагааныг хянах үүрэг, хариуцаагч төлөөлөгч

[illegible]

